სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

17 აგვისტო 2026

გადაწყვეტილება # P26000006/8 (17/08/2026 17:39:15)

განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება #**P26000006** 02/07/2026 17:24:31 (განმცხადებელი: ვიქტორ ყიფიანი), რომლითაც მოთხოვნილია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) რეგისტრაცია.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (პარტია)
დასახელება: **ჯერ საქართველო**

აღწერილობითი ნაწილი:

განმცხადებლის მიერ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, 2026 წლის 2 ივლისს წარდგენილია #P26000006 განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ჯერ საქართველო“ დამფუძნებელი ყრილობის ოქმი, წესდება, ლოგოსა და დროშის ესკიზები, თავმჯდომარის თანხმობა, ხელმოწერის ნიმუში, პოლიტიკური საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრთა თანხმობა, ცნობა საბანკო ნომრის მფლობელის შესახებ, თანხმობა ტელეფონის ნომრის გამოყენებისა და იურიდიული მისამართის შესახებ, ცნობა, წევრთა სია (მატერიალური, ელექტრონული), სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი) ერთად.

აღნიშნული განცხადებით მოთხოვნილია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ჯერ საქართველო“ რეგისტრაცია.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2026 წლის 31 ივლისს მიღებულია #P26000006/5 გადაწყვეტილება განცხადების განხილვის ვადის დინების შეჩერების შესახებ.

განმცხადებლის მიერ, მარეგისტრირებელ ორგანოში, 2026 წლის 3 და 7 აგვისტოს წარდგენილია #P26000006/6 და #P26000006/7 განცხადებები თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად.

განმცხადებლის მიერ მარეგისტრირებელ ორგანოში, 2026 წლის 7 აგვისტოს წარდგენილი #P26000006/7 განცხადებითა და მათზე თანდართული დოკუმენტაციით, არ აღმოიფხვრა 2026 წლის 31 ივლისის #P26000006/5 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შეჩერების სამართლებრივი საფუძვლები, გარდა გადაწყვეტილების 2.1. მუხლისა.

ვინაიდან სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში, დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე და 23-ე მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის, 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, 83-ე მუხლის მე-5 ნაწილის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს № 161 ბრძანებით დამტკიცებული „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრის წარმოების წესის“ საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ

გადაწყვიტა:

1. განუხილველად იქნეს დატოვებული #P26000006 განცხადება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ჯერ საქართველო“ რეგისტრაციის თაობაზე.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოცემისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.#22, ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია იუსტიციის სახლში (მის.: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.#2), მის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.